ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 107

“19” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1646.1848 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის №496 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1646.1848 განკარგულებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №25.2114.2353 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1646.1848 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხზე და აღნიშნული განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1646.1848 განკარგულებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №25.2114.2353 განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის №496 განკარგულებაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შესაბამისად.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე